ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 21.08.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 011/23

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ყოფილი კლიენტის მიმართ, პიროვნული უფლებების შელახვის საფუძვლით, დაიწყებს სასმართლო დავას; შეუძლია თუ არა მას, საკუთარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, სასამართლოში მტკიცებულებების სახით წარადგინოს ყოფილ კლიენტთან არსებული მიმოწერები, რომლებიც მის მიერ გავრცელებული ცნობების საპირისპიროს ამტკიცებენ და ამავდროულად გამოიყენოს მესამე პირთან არსებული სატელეფონო დიალოგის ჩანაწერი, რომელიც ფარულად არის მოპოვებული.

ანალიზი:

"ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, კანონიერება, საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია. ადვოკატმა კეთილსინდისიერი ქმედებებით, მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს კლიენტთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბება და საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაშიც, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, თუმცა აღნიშნული არ გამორიცავს ადვოკატის უფლებას, საკუთარი კანონიერი ინტერესები, კანონიერი გზით, დაიცვას.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატს სურს, სასარჩელო განცხადებით მიმართოს სასმართლოს, საკუთარი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ. ადვოკატს სურს სასამართლოში მტკიცებულებების სახით წარადგინოს ყოფილ კლიენტთან არსებული მიმოწერა, რომელიც მის მიერ გავრცელებული ცნობების საპირისპიროს დაამტკიცებს და ამავდროულად გამოიყენოს მესამე პირთან არსებული სატელეფონო დიალოგის ჩანაწერი, რომელიც ფარულად არის მოპოვებული.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს საკუთარი უფლების დასაცავად უფლება აქვს სასმართლო წარმოებაში, გამოიყენოს კლიენტთან არსებული ის მიმოწერა, რომელიც უშუალოდ ეხება მის სასარჩელო მოთხოვნას და არსებითად არის დაკავშირებული მასთან. ადვოკატის მხრიდან, სხვა საქმესთან კავშირში არ მყოფი ინფორმაციის გავრცელება, შესაძლებელია ჩაითვალოს მისი მხრიდან ეთიკურ გადაცდომად. ~

რაც შეეხება ფარულად მოპოვებული ჩანაწერის გამოყენებას, ადვოკატის მხრიდან მსგავსი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც არ არის კანონიერი გზით მოპოვებული შესაძლებელია ჩაითვალოს ადვოკატის პროფესიულ ეთიკასთან შეუსაბამო ქმედებად.

დასკვნა:

ადვოკატს საკუთარი უფლების დასაცავად, სასამართლო წარმოებაში, შეუძლია გამოიყენოს კლიენტთან არსებული ის მიმოწერა, რომელიც უშუალოდ ეხება მის სასარჩელო მოთხოვნას და არსებითად არის დაკავშირებული მასთან, თუმცა მას არ შეუძლია გამოიყენოს არაკანონიერი გზით მოპოვებული ჩანაწერები.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.